892.8(09)
ა-183

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო კალანდაძე

ლირიკა ნიზამის შემოქმედებაში

10.01.06 მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა
ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2003

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე გვახარია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი

ოფიციალური ოპონენტები: 1. მურმან ქუთელია
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.06

2. ნომად ბართაია
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი 10.01.06

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წ. 5 ივლისს, 14^00

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №36, სადისერტაციო საბჭოს (P 10. 05. №4) სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (0177, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2) ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა „2/VI" 2004 წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი /რ. ციხითათრიშვილი /
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

-1914-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

საკვლევი თემის, „ლირიკა ნიზამის შემოქმედებაში", აქტუალობას განაპირობებს ის უდიდესი დამსახურება, რომელიც მიუძღვის XII საუკუნის პოეტს, ნიზამი განჯელს, სპარსული ლიტერატურის განვითარების საქმეში. იდეებმა, რომლებიც ნიზამის ნაწარმოებებშია გატარებული, დიდი გავლენა მოახდინა როგორც თანამედროვე, ისე მომდევნო თაობის მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაზე.

ჩვენი დაინტერესების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ნიზამის ლირიკა. რადგანაც სწორედ ლირიკაში ხდება ავტორის პირადსუბიექტური სახის ფიქსაცია. ლირიკული მასალის სკრუპულოზური შესწავლა ლიტერატურათმცოდნეობის კარდინალურ საკითხთა წრეს მოიცავს და ამ მხრივ მისი მნიშვნელობა და აქტუალობა მეტად მაღალია. ეს მნიშვნელობა და აქტუალობა თავად ლირიკის, როგორც ლიტერატურული ჟანრის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ნიზამის ლირიკული მემკვიდრეობის შესწავლისას ყურადღებას იქცევს პოემები, სადაც ავტორს შემოაქვს დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ლირიკული ლექსები, რომლებიც თავისი ჟანრული მახასიათებლებით ძალიან უახლოვდება ყაზალს.

ნებისმიერი ლირიკული კომპოზიციის ანალიზი შედეგად უნდა გვაძლევდეს პოეტი-შემოქმედის განცდათა რეკონსტრუქციას. ამ თვალსაზრისით საკვალიფიკაციო შრომაში ყურადღება გამახვილებულია ნიზამის ლირიკულ მემკვიდრეობაზე, რათა დავინახოთ, თუ როგორი ფსიქო-ემოციური დამოკიდებულება ქონდა პოეტს იმ ბიოსფეროს მოვლენების მიმართ, სადაც მას ცხოვრება უწევდა. ყოველივე ეს განაპირობებს წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობას.